დანართი N1
დამტკიცებულია
უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით
N07/01-17, 04.10.2024

ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისა და უცხოელი სტუდენტების ჩარიცხვის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. კავკასიის უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“) ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას განათლების ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს. ამ მიზნით, უნივერსიტეტი მხარს უჭერს საგანმანათლებლო პროგრამებში საერთაშორისო გამოცდილების გაძლიერებას.
2. უნივერსიტეტი პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის საფუძველზე, ახორციელებს გაცვლით და ერთობლივი (ორმაგი) ხარისხის პროგრამებს, მოკლევადიან სასწავლო კურსებსა და სასტიპენდიო პროგრამებს აშ.
3. წინამდებარე წესი განსაზღვრავს:
- ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესს;
- გაცვლითი პროგრამის სახეებს, გაცვლით პროგრამაში სტუდენტთა და აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის მონაწილეობის წესებსა და პირობებს;
- გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების აღიარების წესებს და სხვა დაკავშირებულ საკითხებს;
- ერთიანი ეროვნული გამოცდების / საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე პირთა უნივერსიტეტში ჩარიცხვის, მობილობით ჩარიცხვის წესებს.
4. საკითხები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე წესით, განისაზღვრება უნივერსიტეტის შიდა ნორმატიული აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 2. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამა

1. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზანია საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია და რეგიონალური განვითარების ხელშეწყობა.
2. სკოლა არჩევს საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის ფარგლებშიც სურს მას განავითაროს ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამა, ან პარტნიორი უნივერსიტეტის ინიციატივით ხდება შემოთავაზება შესაბამის პროგრამაზე ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ.
3. სკოლის მიერ პროგრამის შერჩევის შემდეგ, სკოლის მიმართვის შემთხვევაში, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი ეხმარება სკოლას პარტნიორი უნივერსიტეტის მოძიებაში მისი ხარისხისა და გამოცდილების გათვალისწინებით.
4. შერჩეულ უნივერსიტეტთან იწყება მოლაპარაკების პროცედურა, პროგრამის გაზიარება და შინაარსობრივი შესაბამისობის განსაზღვრა. პროგრამის დადარებასა და შესაბამისობის განსაზღვრაში ერთვება ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი, რის შემდეგაც მხარეთა მიერ ხდება პროგრამის სტრუქტურის ჩამოყალიბება.
5. პარტნიორისა და პროგრამის შერჩევის შემდეგ, წინადადება შესაბამისი სკოლის მიერ წარედგინება უნივერსიტეტის პრეზიდენტს. საჭიროების შემთხვევაში, იწყება პროგრამის სააკრედიტაციო პროცედურები, ბიუჯეტის განსაზღვრა და რესურსების დაგეგმვა.
6. ერთობლივი პროგრამების განსახორციელებლად, უნივერსიტეტი აფორმებს საქართველოს ან უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან (პარტნიორ უნივერსიტეტ(ებ)თან) შესაბამის ხელშეკრულებას, რომლითაც განისაზღვრება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი, განხორციელების ფორმები და შეფასების წესი. ასეთი სახის ხელშეკრულება, წინასწარ თანხმდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან "ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით მის განმახორციელებელ დაწესებულებებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის N74, 03.02.17 ბრძანების შესაბამისად.

7. იმ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, რომლისთვისაც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით სავალდებულოა აკრედიტაციის გავლა, დასაშვებია მხოლოდ აკრედიტაციის გავლის შემთხვევაში. ხოლო, ერთობლივი პროგრამის აკრედიტაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
8. სტუდენტი, ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაირიცხება შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობითა და პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დადგენილი წესით, კავკასიის უნივერსიტეტსა და მის პარტნიორ უნივერსიტეტს შორის წინასწარი შეთანხმებით განსაზღვრულ ერთ-ერთ პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

მუხლი 3. გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამები

1. კავკასიის უნივერსიტეტი უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე ახორციელებს სტუდენტების, ადმინისტრაციული, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის გაცვლით პროგრამებს უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.
2. გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება კავკასიის უნივერსიტეტსა და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის დადებული გაცვლის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე.
3. კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტს სწავლის ერთი საფეხურის ფარგლებში შეუძლია ისარგებლოს ევროკომისიის მიერ დაფინანსებულ ERASMUS + - ის გაცვლით პროგრამაში მხოლოდ ერთხელ, ხოლო კავკასიის უნივერსიტეტის პარტნიორ უნივერსიტეტში მობილობით მხოლოდ ორჯერ. მობილობის ჯამში 3 (სამი) სემესტრის განმავლობაში პარტნიორ უნივერსიტეტში ათვისებული კრედიტების რაოდენობა არ უნდა გადასცდეს 100 (ას) კრედიტს.
4. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, გაცვლის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე, უნივერსიტეტი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისაგან იღებს წერილობით ინფორმაციას, შესაბამისი უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარების შესახებ.
5. სტუდენტთა, ადმინისტრაციული ან/და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის მობილობა უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან/და უცხო ქვეყნის უნივერსიტეტიდან კავკასიის უნივერსიტეტში, ხორციელდება არაუმეტეს ერთი აკადემიური წლის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ პარტნიორ უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულებით სხვა ვადა არ არის დადგენილი.

მუხლი 3.1. გაცვლითი პროგრამის ფარგლებში წამსვლელი სტუდენტები

3.1.1. სტუდენტთა გაცვლის შესახებ ხელშეკრულება მიზნად ისახავს გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტის მიერ კრედიტების განსაზღვრული რაოდენობის დაგროვებას პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.
3.1.2. კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტი, პარტნიორ უნივერსიტეტში სწავლას აგრძელებს უცხო ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
3.1.3. გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის პირობები, წარმოსადგენი დოკუმენტების სია და შერჩევის პროცედურა განისაზღვარება წინამდებარე წესის შესაბამისად.
3.1.4. გაცვლით პროგრამაში მონაწილე კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტს, უნივერსიტეტში არ უჩერდება სტუდენტის სტატუსი.
3.1.5. კავკასიის უნივერსიტეტიდან სტუდენტების პარტნიორ უნივერსიტეტში მობილობისას, სტუდენტთა შერჩევის შემდეგ, პარტნიორი უნივერსიტეტი აგზავნის სტუდენტ(ებ)ის მიერ გასავლელი სასწავლო კურსების/კომპონენტების სიას, რის შემდეგაც ხდება შესაბამისობის დადგენა („ლერნინგ ეგრიმენთ N2 “). შესაბამისობის დოკუმენტს ხელს აწერს შესაბამისი სკოლა, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორი და გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტი. შესაბამისობის ფორმაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში (სასწავლო კურსების/კომპონენტების ცვლილება), პარტნიორი უნივერსიტეტი თავიდან აგზავნის მათ მიერ შემოთავაზებული ალტერნატიული საგნების სიას და თავიდან იწყება ამ პუნქტში მითითებული შესაბამისობის დადგენა და საბოლოოდ შეთანხმებული შესაბამისობის დოკუმენტის ხელმოწერა.

იმ შემთხვევაში, თუ პარტნიორი უნივერსიტეტი მოითხოვს 3.1.7 პუნქტში განსაზღვრულ მინიმალურ კრედიტზე მეტი კრედიტის გავლას, ხოლო შეთავაზებული სასწავლო კურსების თავსებადობა ვერ ხერხდება იმ პროგრამასთან, რომელზეც სწავლობს გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტი, სტუდენტი ვალდებულია დამატებით აიღოს კრედიტები პარტნიორი უნივერსიტეტის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნებისთვის.

3.1.6. შესაბამისობის ფორმის ორიგინალი ვერსია ინახება რეესტრისა და საქმისწარმოების დეპარტამენტში.

3.1.7. გაცვლით პროგრამაში მონაწილე კავკასიის უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტმა (მ.შ. ერთობლივი პროგრამის სტუდენტმა), გაცვლის ერთი სემესტრის განმავლობაში პარტნიორ უნივერსიტეტში უნდა გაიაროს მინიმუმ 20 ECTS კრედიტი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ პარტნიორი უნივერსიტეტის მხრიდან კრედიტების სხვა მინიმალური ოდენობა იქნება დადგენილი/მოთხოვნილი. სტუდენტს შეუძლია გაცვლის ერთი სემესტრის განმავლობაში გაიაროს მაქსიმუმ 35 ECTS კრედიტი, ხოლო გაცვლის ერთი აკადემიური წლის განმავლობაში არაუმეტეს 75 ECTS კრედიტი.

გაცვლით პროგრამაში მონაწილე კავკასიის უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტმა (მ.შ. ერთობლივი პროგრამის სტუდენტმა), გაცვლის ერთი სემესტრის განმავლობაში პარტნიორ უნივერსიტეტში უნდა გაიაროს მინიმუმ 10 კრედიტი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ პარტნიორი უნივერსიტეტის მხრიდან კრედიტების სხვა მინიმალური ოდენობა იქნება დადგენილი/მოთხოვნილი. სტუდენტს შეუძლია გაცვლის ერთი სემესტრის განმავლობაში გაიაროს მაქსიმუმ 35 ECTS კრედიტი, ხოლო გაცვლის ერთი აკადემიური წლის განმავლობაში არაუმეტეს 75 ECTS კრედიტი.

3.1.8. თუ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მსურველი სტუდენტი გაცვლის ერთი სემესტრის განმავლობაში ვერ შეძლებს 3.1.7 პუნქტის შესაბამისად მინიმალური ოდენობის კრედიტების გავლას, კავკასიის უნივერსიტეტის შესაბამისი სკოლა ინდივიდულაურად განიხილავს სტუდენტის მივლინების საკითხს პროგრამული თავსებადობის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში, სტუდენტის მივლინების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია სკოლის არგუმენტირებული მოხსენების საფუძველზე.

3.1.9. გაცვლით პროგრამებში მონაწილე კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტი ვალდებულია მობილობამდე, უნივერსიტეტში დადგენილი წესებისა და ვადების დაცვით გაიაროს რეგისტრაცია იმ სასწავლო კურსებზე/კომპონენტებზე, რომლებიც მითითებულია შესაბამისობის ფორმაში და გადაიხადოს შესაბამისი კრედიტების ღირებულება. სტუდენტი ვალდებულია მობილობამდე უზრუნველყოს სემესტრული გადასახადის გადახდა არჩეული სასწავლო კურსების/კომპონენტების შესაბამისად.

3.1.10. ერთობლივი პროგრამის სტუდენტის გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის შემთხვევაში, შესაბამისობის ფორმა ზუსტად იმ სასწავლო კურსებზე/კომპონენტებზე უნდა შედგეს, რაც პროგრამით არის გაწერილი შესაბამის სემესტრში, რათა სტუდენტმა პროგრამით დადგენილ ვადაში შეძლოს სწავლის გაგრძელება ერთობლივი პროგრამის განმახორციელებელ პარტნიორ უნივერსიტეტში.

3.1.11. სტუდენტს, მისი ინტერესის შესაბამისად, შეუძლია პარტნიორი უნივერსიტეტის თანხმობით, დამატებით გაიაროს მისთვის სასურველი სასწავლო კურსი/კომპონენტი, რომელიც არ შეესაბამება კავკასიის უნივერსიტეტის პროგრამით გათვალისწინებულს და შესაბამისად ასეთი სასწავლო კურს(ებ)ის/კომპონენტ(ებ)ის აღიარება არ მოხდება კავკასიის უნივერსიტეტში. ასეთ შემთხვევაში, სტუდენტი არ იხდის დამატებით თანხას სასწავლო კურსისთვის კავკასიის უნივერსიტეტში.

3.1.12. კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტის მიერ, პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დაგროვილი კრედიტების შესახებ ამსახველი დოკუმენტი მიმღები უნივერსიტეტიდან იგზავნება ელექტრონულად და ამავდროულად ხდება ორიგინალი დოკუმენტის გამოგზავნაც სემესტრის დასრულებიდან მაქსიმუმ 5 კვირის განმავლობაში;

მუხლი 3.2. გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ჩამომსვლელი სტუდენტები

3.2.1. უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, აღიარებული პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტი, რომელსაც სტუდენტის სტატუსი მოპოვებული აქვს უცხო ქვეყანაში აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, კავკასიის უნივერსიტეტში სწავლას აგრძელებს უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე, უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე;

3.2.2. გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერი საფეხურის სტუდენტს.
3.2.3. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულმა სტუდენტმა უნდა შეავსოს აპლიკაციის ელექტრონული ფორმა და წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები შემდეგ ელ.ფოსტაზე ir@cu.edu.ge:
- ოფიციალური ნომინირების წერილი გამომგზავნი უნივერსიტეტიდან;
- შესაბამისობის ფორმა (არჩეული კურსების მითითებით);
- ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი: IELTS (6.0) TOEFL (78); ან სხვა შესაბამისად აღიარებული B2 დონის სერტიფიკატს)
- ნიშნების ფურცელი;
- შევსებული EUROPASS CV ფორმა.
3.2.4. საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, შესაბამის სკოლასთან ერთად განიხილავს და აფასებს ნომინირებული კანდიდატების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს. გადაწყვეტილების მიღება ეფუძნება კანდიდატის აკადემიურ მონაცემებს და უცხო ენის ცოდნის დონეს. აპლიკანტებს იმეილით ეცნობებათ მათი სტატუსის შესახებ.
3.2.5. გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ჩამომსვლელ სტუდენტთა სია საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორის მოხსენებით ბარათთან ერთად წარედგინება უნივერსიტეტის პრეზიდენტს შესაბამისი ბრძანების გამოსაცემად.
3.2.6. კავკასიის უნივერსიტეტს უფლება აქვს ნომინირებულ სტუდენტ(ებ)ს მოსთხოვოს დამატებით შიდა კონკურსში მონაწილეობის მიღება;
3.2.7. გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტებს, უნივერსიტეტის გადაწყვეტილება ეცნობებათ იმეილის საშუალებით, ასევე ინფორმაცია არის საჯარო..
3.2.8. სტუდენტი, რომელიც გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მოდის კავკასიის უნივერსიტეტში ვალდებულია კანონით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით, ჰქონდეს საქართველოში ცხოვრებისთვის ვიზა (საჭიროების შემთხვევაში, რაც განისაზღვრება ჩამოსვლელი ქვეყნის მიხედვით) და ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის სადაზღვევო პოლისი, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის N572 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და მისი მოქმედების ვადა უნდა შეესაბამებოდეს კავკასიის უნივერსიტეტში სწავლის სრულ პერიოდს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უნივერსიტეტი სტუდენტს არ დაუშვებს სასწავლო პროცესში (გარდა დისტანციური სწავლებისა, თუ სტუდენტი არ იმყოფება საქართველოში).
3.2.9. სტუდენტის მიერ, კავკასიის უნივერსიტეტში დაგროვილი კრედიტების შესახებ ინფორმაცია ელექტრონულად ან/და ორიგინალი დოკუმენტის სახით (მოთხოვნის შესაბამისად), ეგზავნება გამომგზავნ პარტნიორ უნივერსიტეტს სემესტრის დასრულებიდან მაქსიმუმ 5 კვირის განმავლობაში;
3.2.10. გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტი, სემესტრის დაწყებამდე, ამისთვის განსაზღვრულ ვადაში არჩევს სასწავლო კურსებს, რომლის სწავლაც სურს მას კავკასიის უნივერსიტეტში. არჩეული სასწავლო კურსების შესახებ ინფორმაცია ეგზავნება საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს, რომელიც სასწავლო კურსების სიას, მათი გადამოწმების მიზნით უგზავნის შესაბამის სკოლას.
3.2.11. გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტის სწავლების ენა არის ინგლისური.
3.2.12. გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტს უფლება აქვს გაცვლის ერთი სემესტრის განმავლობაში კავკასიის უნივერსიტეტში ისწავლოს და მოაგროვოს მაქსიმუმ 35 კრედიტი, ხოლო გაცვლის ერთი აკადემიური წლის განმავლობაში არაუმეტეს 75 ECTS კრედიტი. მინიმალური კრედიტების ოდენობა შეზღუდული არ არის.
3.2.13 გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტები, მობილობის დასრულების შემდეგ, ავსებენ ზოგადსაუნივერსიტეტო კმაყოფილების კითხვარს, რომელსაც აანალიზებს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი.

მუხლი 3.3. გაცვლითი პროგრამის ფარგლებში წამსვლელი აკადემიური, მოწვეული სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალი

3.3.1. კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიურ, მოწვეულ, სამეცნიერო და ადმინისტრაციულ პერსონალს შეუძლია მობილობით ისარგებლოს უცხოურ უნივერსიტეტში, არაუმეტეს 1 (ერთი) აკადემიური წლის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა თუ პარტნიორ უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, სხვა ვადა არ იქნება დადგენილი.

3.3.2. გაცვლით პროგრამაში აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის პარტნიორ უნივერსიტეტში მობილობის მიზანია ლექციების წაკითხვა, პარტნიორი უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის სტუდენტებისათვის გამოცდილების, პრაქტიკის და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის განხორციელება/გაზიარება; ხოლო ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის მიზანია პარტნიორი უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან სამუშაო შეხვედრების განხორციელება და გამოცდილების გაზიარება.

3.3.3. პროგრამაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს სრულ ან არასრულ განაკვეთზე დასაქმებულ აკადემიურ პერსონალს, მოწვეულ პერსონალს თუ მათ აქვთ ინგლისურ ენაზე სალექციო კურსის წაკითხვისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გამოცდილება.

3.3.4. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულმა აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები ინგლისურ ენაზე:

- საერთაშორისო პასპორტის ასლი;
- შევსებული სააპლიკაციო ფორმა;
- CV ევროპასის ფორმით;
- ესე, რომელიც უნდა ასახავდეს კავკასიის უნივერსიტეტში მუშაობის გამოცდილებას; ინფორმაციას პროექტებისა და პროგრამების შესახებ, რომელშიც აპლიკანტს მონაწილეობა მიუღია კავკასიის უნივერსიტეტთან ერთად ან როგორც კავკასიის უნივერსიტეტის წარმომადგენელს;
- 1 სარეკომენდაციო წერილი სკოლიდან (რომელიც გაცემული უნდა იყოს სკოლის დეკანის ან საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრაციული დირექტორის მიერ).

3.3.5. წარმოდგენილ სააპლიკაციო დოკუმენტებს განიხილავს საკონკურსო კომისია. კომისია ახდენს შერჩეული კანდიდატების ნომინირებას. შერჩეული კანდიდატების შესახებ ინფორმაციის/დოკუმენტების მიწოდება ხდება მიმღები უნივერსიტეტისათვის. აკადემიური პერსონალის საბოლო შერჩევა ხდება მიმღები უნივერსიტეტის მიერ;

3.3.6. გაცვლით პროგრამაში მისავლინებელი აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალის სია ფორმდება კომისიის ოქმით, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორის მოხსენებით ბარათთან ერთად წარედგინება უნივერსიტეტის პრეზიდენტს შესაბამისი ბრძანების გამოსაცემად.

3.3.7. მიმღებ უნივერსიტეტს უფლება აქვს ნომინირებულ პერსონას მოსთხოვოს დამატებით შიდა კონკურსში მონაწილოების მიღება;

3.3.8. გაცვლით პროგრამაში მონაწილე პირებს, უნივერსიტეტის გადაწყვეტილება ეცნობებათ იმეილის საშუალებით, ასევე, ინფორმაცია არის საჯარო და მისი განთავსება ხდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

3.3.9. გაცვლითი პროგრამის დასრულების შემდეგ, მონაწილე პირები ავსებენ საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მიერ შემუშავებულ კმაყოფილების კითხვარს, რომლის შედეგებიც ეგზავნება კავკასიის უნივერსიტეტის შესაბამის სკოლებსა და დეპარტამენტებს.

3.4. გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ჩამომსვლელი აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალი

3.4.1. პარტნიორი უნივერსიტეტის აკადემიურ, სამეცნიერო და ადმინისტრაციულ პერსონალს შეუძლია მობილობით ისარგებლოს კავკასიის უნივერსიტეტში, არაუმეტეს 1 (ერთი) აკადემიური წლის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ პარტნიორ უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, სხვა ვადა არ იქნება დადგენილი.

3.4.2. უცხოური პარტნიორი უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მობილობის მიზანია ლექციების წაკითხვა, პარტნიორი უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის სტუდენტებისათვის გამოცდილების, პრაქტიკისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის განხორციელება/გაზიარება; ხოლო ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის მიზანია პარტნიორი უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან სამუშაო შეხვედრების განხორციელება და გამოცდილების გაზიარება.

3.4.3. პროგრამაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს, რომელსაც აქვს სალექციო კურსის წაკითხვის გამოცდილება და ნომინირებული არის გამომგზავნი უნივერსიტეტის მიერ.

3.4.4. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულმა აკადემიურმა პერსონალმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები შემდეგ ელ-ფოსტაზე ir@cu.edu.ge:
- გამომგზავნი უნივერსიტეტის წერილი ნომინირების შესახებ;
- პასპორტის ასლი;
- სწავლების მობილობის ფორმა.
3.4.5. დაინტერესებულ პირთა მიერ წარმოდგენილ სააპლიკაციო დოკუმენტებს განიხილავს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი იმ სკოლის უშუალო ჩართულობით, რომელშიც უნდა განხორციელდეს მობილობა.
3.4.6. გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ჩამომსვლელი აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალის სია საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორის მოხსენებით ბარათთან ერთად წარედგინება უნივერსიტეტის პრეზიდენტს შესაბამისი ბრძანების გამოსაცემად.
3.4.7. კავკასიის უნივერსიტეტს უფლება აქვს ნომინირებულ პირს დამატებით მოსთხოვოს შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენა.
3.4.8. გაცვლით პროგრამაში მონაწილე პირებს, უნივერსიტეტის გადაწყვეტილება ეცნობებათ ელექტრონულად, ასევე, ინფორმაცია არის საჯარო და მისი განთავსება ხდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
3.4.9. გაცვლითი პროგრამის დასრულების შემდეგ, მონაწილე პირები ავსებენ საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მიერ შემუშავებულ კმაყოფილების კითხვარს, რომლის შედეგებიც ეგზავნებათ კავკასიის უნივერსიტეტის შესაბამის სკოლებსა და დეპარტამენტებს.

3.5. ERASMUS + გაცვლითი პროგრამა
3.5.1. კავკასიის უნივერსიტეტი მონაწილეობს ევროკომისიის მიერ დაფინანსებულ ERASMUS + - ის გაცვლით პროგრამებში, რომლის ფარგლებში კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტებს, ადმინისტრაციულ და აკადემიურ/სამეცნიერო პერსონალს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ მობილობით და ყოველგვარი ფინანსური ხარჯების გარეშე წავიდნენ უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ERASMUS +-ის ფარგლებში განხორციელებული მობილობები ფინანსდება ამ პროგრამით და გაიცემა შესაბამისი სტიპენდიები. პროგრამა სრულად აფინანსებს მონაწილის სწავლის, საქმიანობის, ცხოვრებისა და მგზავრობის ხარჯებს. ყოველთვიური სტიპენდიის ოდენობა განისაზღვრება მიმღები ქვეყნის შესაბამისად. ERASMUS +-ის ფარგლებში მონაწილე გაცვლითი პროგრამის სტუდენტი არ თავისუფლდება კავკასიის უნივერსიტეტში შესაბამისი სემესტრული გადასახადის გადახდის ვალდებულებისაგან.
3.5.2. ERASMUS +-ის მობილობის პროგრამის ფარგლებში, კრედიტების დაგროვების მიზნით, უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში წასვლა შეუძლია კავკასიის უნივერსიტეტის ბაკალავრის/მაგისტრატურის/დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტს, თუ იგი აკმაყოფილებს ამ პროგრამაში მონაწილეობისთვის დადგენილ მოთხოვნებს.
3.5.3. ადმინისტრაციული, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მობილობა შესაძლოა იყოს შვიდი დღიდან 3 თვემდე.
3.5.4. ERASMUS +-ის მობილობის პროგრამის დასრულებიდან მაქსიმუმ 5 კვირის განმავლობაში მასპინძელი უნივერსიტეტი, სასწავლო კურსების/კომპონენტების ტრანსკრიპტს (ნიშნების ფურცელს) აგზავნის კავკასიის უნივერსიტეტში, რათა დაიწყოს სტუდენტებისათვის კრედიტების აღიარების პროცედურა.
3.5.5.ERASMUS+-ის გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს აკადემიურ, მოწვეულ და სამეცნიერო პერსონალს ან კავკასიის უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მყოფ პირს, რომელსაც აქვს ინგლისურ ენაზე სალექციო კურსის წაკითხვის და საქმიანობის განხორციელების გამოცდილება.
3.5.6. აკადემიურ, მოწვეულ, სამეცნიერო და ადმინისტრაციულ პერსონალს, რომელიც აკმაყოფილებს წინამდებარე წესით განსაზღვრულ პირობას, ავსებს გაცვლითი პროგრამისთვის შემუშავებულ მობილობის გეგმას, რომელსაც განიხილავს საკონკურსო კომისია.
3.5.7. კომისიის მიერ, სააპლიკაციო დოკუმენტების განხილვის შემდეგ, ხდება შერჩეული კანდინდატების ნომინირება. კანდიდატთა შერჩევა ფორმდება კომისიის ოქმით. შერჩეული კანდინატების შესახებ ინფორმაციის/დოკუმენტების მიწოდება ხდება მიმღები უნივერსიტეტისათვის,

რომლის მიერ დასტურის შემდეგაც ხდება პერსონალის საბოლოო შერჩევა და შესაბამისი ბრძანებით გაფორმება.
3.5.8. Erasmus+-ის გაცვლით პროგრამაში მონაწილე პირები მობილობის დასრულების შემდეგ ავსებენ საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მიერ შემუშავებულ კმაყოფილების კითხვარს, რომლის შედეგებიც ეგზავნებათ კავკასიის უნივერსიტეტის შესაბამის სკოლებსა და დეპარტამენტებს.

3.6. დონორი ორგანიზაციის მიერ დაფინანსებული გაცვლითი პროგრამები
3.6.1. სტუდენტებს, აკადემიურ, მოწვეულ, სამეცნიერო და ადმინისტრაციულ პერსონალს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებულ გაცვლით პროგრამაში კავკასიის უნივერსიტეტისაგან დამოუკიდებლად.
3.6.2. ასეთ პროგრამაში მონაწილე პირი თავად უზრუნველყოფს კონკურსში მონაწილეობისთვის მომზადებასა და შესაბამისი პროცედურების გავლას. საჭიროების შემთხვევაში, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი ახდენს სტუდენტის ინდივიდუალურ კონსულტირებას.
3.6.3. სტუდენტის შემთხვევაში, უნივერსიტეტის ჩართულობა გამოიხატება მხოლოდ კრედიტების შესაბამისობის აღიარების პროცესში (ასეთის არსებობის შემთხვევაში). მიმღები უნივერსიტეტი აგზავნის სტუდენტ(ებ)ის მიერ გასავლელი სასწავლო კურსების/კომპონენტების სიას, რის შემდეგაც ხდება შესაბამისობის დადგენა („ლერნინგ ეგრიმენთი“ (დანართი N2)) შესაბამისობის დოკუმენტს ხელს აწერს შესაბამისი სკოლა, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი, ასევე საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორი.

მუხლი 4. გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის პირობები
1. ყოველი აკადემიური სემესტრის ბოლოს, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შემოთავაზების საფუძველზე, ადგენს გაცვლითი პროგრამების ქვოტებს.
2. გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიღების მიზნებისათვის, სტუდენტი მონაწილეობას იღებს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ კონკურსში.
3. გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის უფლება აქვთ აქტიური სტატუსის მქონე:
- ბაკალავრიატის II, III ან IV ეტაპის პირველი სემესტრის სტუდენტებს;
- მაგისტრატურის II ეტაპის ნებისმიერი სემესტრის/ტრიმესტრის სტუდენტებს (სკოლის თანხმობის საფუძველზე);
- დოქტორანტურის ნებისმიერი ეტაპის სტუდენტებს (სკოლის თანხმობის საფუძველზე);

4. გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიღება არ შეუძლიათ:
- სტუდენტებს, რომლებსაც ერიცხებათ ფინანსური დავალიანება კავკასიის უნივერსიტეტში;
- არ აკმაყოფილებენ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობისათვის ჩარჩო ხელშეკრულებითა და წინამდებარე დებულებით დადგენილ მოთხონებს;
- მათ, ვისაც უკვე მიღებული აქვთ “Erasmus Mundus”-ის ან “Erasmus+”-ის გრანტი ანალოგიურ საფეხურზე.
- მათ მიმართ გამოყენებულია დისციპლინური პასუხისმგებლობის ნებისმიერი სახის ზომა;

5. გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის პირობები განისაზღვრება შემდეგი სახით:
- სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ პროგრამაზე სწავლის ენის ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატი. თუ სწავლების ენა ინგლისურია - ინგლისური ენის საერთაშორისო სერტიფიკატი (IELTS- 6.0; TOEFL-78) ან სხვა შესაბამისად აღიარებული B2 დონის სერტიფიკატი; იმ ბაკალავრებისთვის, რომლებსაც სკოლა აქვთ დამთავრებული ინგლისურ ენაზე, ასევე მაგისტრებისთვის და დოქტორებისთვის, რომლებსაც უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა დასრულებული აქვთ ინგლისურ ენაზე, მათთვის სერტიფიკატის წარმოდგენა არ არის სავალდებულოდ შესასრულებელი კომპონენტი.
- სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ მიმდინარე GPA მინიმუმ 3.0;
- ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქოტორანტურის სტუდნტები არ უნდა იყვნენ დამამთავრებელ სემესტრში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ შესაბამისი სკოლის დეკანი წერილობითი სახით დაადასტურებს (დანართი N3), რომ სტუდენტი ვერ შეძლებს ერთ სემესტრში საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამის დასრულებას.
- სტუდენტის სტატუსი უნდა ჰქონდეს აქტიური.

მუხლი 5. გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად წარმოსადგენი საჭირო დოკუმენტაცია

1. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კავკასიის უნივერსიტეტის აქტიურმა სტუდენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები ინგლისურ ენაზე:

პირადობის მოწმობის / პასპორტის ასლი;

- შევსებული სააპლიკაციო ფორმა;
- CV ევროპასის ონალინ ფორმით;
- პროგრამაზე სწავლის უცხო ენის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი (ინგლისურის შემთხვევაში - IELTS მინიმალური 6.0 /TOEFL - 78) ან სხვა შესაბამისად აღიარებული B2 დონის სერტიფიკატი (იმ ბაკალავრებისთვის, რომლებსაც სკოლა აქვთ დამთავრებული ინგლისურ ენაზე, ასევე მაგისტრებისთვის და დოქტორებისთვის, რომლებსაც უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა დასრულებული აქვთ ინგლისურ ენაზე, მათთვის სერტიფიკატის წარმოდგენა არ არის სავალდებულოდ შესასრულებელი კომპონენტი);
- ნიშნების ფურცელი;
- სამოტივაციო წერილი;
- 1 სარეკომენდაციო წერილი;
- აქტიური სტუდენტის სტატუსის შესახებ ცნობა;
- სოციალურად მოწყვლადობის და/ან ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული პრობლემ(ებ)ის დამადასტურებელი ცნობა (არსებობის შემთხვევაში);

2. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიურმა, სამეცნიერო და ადმინისტრაციულმა პერსონალმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები ინგლისურ ენაზე:

- საერთაშორისო პასპორტის ასლი;
- შევსებული სააპლიკაციო ფორმა;
- CV ევროპასის ფორმით; (იხილეთ CV-ის შევსების ინსტრუქცია ბმულზე)
- ესე, რომელიც უნდა ასახავდეს კავკასიის უნივერსიტეტში მუშაობის გამოცდილებას;
- ინფორმაციას პროექტებისა და პროგრამების შესახებ, რომელშიც აპლიკანტს მონაწილეობა მიუღია კავკასიის უნივერსიტეტთან ერთად ან როგორც კავკასიის უნივერსიტეტის წარმომადგენელს;
- სოციალურად მოწყვლადობის და/ან ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული პრობლემ(ებ)ის დამადასტურებელი ცნობა (არსებობის შემთხვევაში);
- 1 სარეკომენდაციო წერილი უნივერსიტეტის სკოლიდან (რომელიც გაცემული უნდა იყოს სკოლის დეკანის ან საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრაციული დირექტორის მიერ).

მუხლი 6. გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტთა შერჩევის პროცედურა

1. წარმოდგენილ სააპლიკაციო დოკუმენტებს განიხილავს საკონკურსო კომისია.
2. კომისია შედგება შემდეგი წევრებისაგან, კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორი, შესაბამისი სკოლის წარმომადგენელი.
3. კომისია ახდენს შერჩეული კანდიდატების ნომინირებას. კონკურსში უპირატესობა ენიჭება იმ სტუდენტს, რომელსაც აქვს მაღალი აკადემიური მოსწრება (GPA) და ფლობს პროგრამაზე სწავლის ენის ცოდნის დონის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს. ინგლისური ენის შემთხვევაში - საერთაშორისო სერთიფიკატს IELTS/TOEFL ან სხვა შესაბამისად აღიარებული B2 დონის სერტიფიკატს და წარმოადგენს სოციალურად მოწყვლადობის და/ან ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული პრობლემ(ებ)ის დამადასტურებელ ცნობას (არსებობის შემთხვევაში). კონკურსში, თანაბარ პირობებში მყოფ სტუდენტებს შეიძლება დამატებით ჩაუტარდეთ გასაუბრება, მათ შორის უპირატესობა ენიჭება მას, ვისაც ნიშნების ფურცელში არ უფიქსირდება შეფასება “F”.
4. შერჩეული კანდიდატების შესახებ ინფორმაციის/დოკუმენტების მიწოდება ხდება მიმღები უნივერსიტეტისათვის;
5. სტუდენტების საბოლო შერჩევა ხდება მიმღები უნივერსიტეტის მიერ;
6. გაცვლით პროგრამაში მისავლინებელი სტუდენტების სია ფორმდება კომისიის ოქმით, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორის მოხსენებით ბარათთან ერთად წარედგინება უნივერსიტეტის პრეზიდენტს შესაბამისი ბრძანების გამოსაცემად.

7. მიმღებ უნივერსიტეტს უფლება აქვს ნომინირებულ სტუდენტს მოსთხოვოს დამატებით შიდა კონკურსში მონაწილეობის მიღება ან სხვა დამატებითი მოთხოვნ(ებ)ის დაკმაყოფილება;
8. გაცვლით პროგრამაში მონაწილე პირებს, უნივერსიტეტის გადაწყვეტილება ეცნობებათ ელექტრონულად, ასევე, ინფორმაცია არის საჯარო და მისი განთავსება ხდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

მუხლი 7. გაცვლით პროგრამაში მონაწილე აკადემიური, მოწვეული სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევის პროცედურა

1. წარმოდგენილ სააპლიკაციო დოკუმენტებს განიხილავს საკონკურსო კომისია.
2. კომისიაში შედიან უნივერსიტეტის პრეზიდენტი, საერთაშორისო ურთიერთობისა და პროექტების დეპარტამენტის წარმომადგენელი, პერსონალის მართვის დეპარტამენტის წარმომადგენელი და შესაბამისი სკოლის წარმომადგენელი.
3. კონკურსში უპირატესობა ენიჭება იმ პირს, რომელსაც წარმოდგენილი აქვს სწავლების ენაზე ლექციების წაკითხვის, საქმიანობის განხორციელების გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი (უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას, უფლებამოსილების ფარგლებში გადაამოწმოს მისი ავთენტურობა); კანდიდატს წარმოდგენილი აქვს სოციალურად მოწყვლადობის და/ან ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული პრობლემ(ებ)ის დამადასტურებელი ცნობა (არსებობის შემთხვევაში) და თუ კანდიდატს არ უსარგებლია მსგავსი სახის პროგრამით.
4. კომისია ახდენს შერჩეული კანდიდატების ნომინირებას და ინფორმაციის/დოკუმენტების მიწოდებას მიმღები უნივერსიტეტისათვის;
5. აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული საბოლო შერჩევა ხდება მიმღები უნივერსიტეტის მიერ;
6. გაცვლით პროგრამაში მისავლინებელ პირთა სია ფორმდება კომისიის ოქმით, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორის მოხსენებით ბარათთან ერთად წარედგინება უნივერსიტეტის პრეზიდენტს შესაბამისი ბრძანების გამოსაცემად.
7. მიმღებ უნივერსიტეტს უფლება აქვს ნომინირებულ პერსონალს მოსთხოვოს დამატებით შიდა კონკურსში მონაწილოების მიღება ან სხვა დამატებითი მოთხოვნ(ებ)ის დაკმაყოფილება;
8. გაცვლით პროგრამაში მონაწილე პირებს, უნივერსიტეტის გადაწყვეტილება ეცნობებათ ელექტრონულად, ასევე, ინფორმაცია არის საჯარო და მისი განთავსება ხდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე.

მუხლი 8. კონკურსის გამოცხადებისა და შედეგების გამოქვეყნების წესი

1. კავკასიის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთოებებისა და პროექტების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებული კონკურსების შესახებ ინფორმაცია საჯაროა (ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ინფორმაცია ვრცელდება სოციალური მედიის საშუალებებით) და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. აგრეთვე, კონკურსის გამოცხადების შესახებ ინფორმაცია ინდივიდუალურად ელექტრონულად ეგზავნებათ შესაბამის სამიზნე ჯგუფებს, კონკურსის სპეციფიკის გათვალისწინებით.
2. გამარჯვებულ კანდიდატებს ამავე დეპარტამენტის წარმომადგენლის მიერ, ელექტრონულად ეგზავნებათ შეტყობინება კონკურსის შედეგების თაობაზე. აგრეთვე, შედეგები განთავსდება კავკასიის უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

მუხლი 9. გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ათვისებული კრედიტების აღიარება

1. პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კრედიტების აღიარების პროცესი იწყება მას შემდეგ, რაც ნიშნების ფურცელი (ტრანსკრიპტი) ორიგინალი დოკუმენტის სახით გამოეგზავნება კავკასიის უნივერსიტეტს.
2. უნივერსიტეტის მხრიდან კრედიტების აღიარებაზე თანხმობის ცნობა და სტუდენტის ნიშნების ფურცელი სტუდენტს მიაქვს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში „ცენტრი“) აღიარების მიზნით, რომლის საქმისწარმოებისთვის დადგენილ საფასურს იხდის თავად სტუდენტი.
3. სტუდენტი თავად უზრუნველყოფს ნიშნების ფურცლის ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის გაკეთებას ცენტრში წარსადგენად, რომელსაც თან უნდა დაერთოს შესაბამისობის ფორმა.
4. ცენტრის დადებითი პასუხის შემთხვევაში, სტუდენტს ეთვლება უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კრედიტები.
5. კრედიტების აღიარება ხდება უნივერსიტეტში მოქმედი წესების შესაბამისად.

მუხლი 10. საერთაშორისო მოკლევადიანი პროგრამები

1. კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის პარტნიორი/არაპარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ორგანიზებულ მოკლევადიან პროგრამებში.

2. არის შემდეგი ორი სახის მოკლევადიანი პროგრამა:

- კავკასიის უნივერსიტეტი აცხადებს მიღებას მოკლევადიან პროგრამებზე და იღებს სტუდენტებს, შესაბამისი ანაზღაურების გადახდის სანაცვლოდ;
- კავკასიის უნივერსიტეტი ავრცელებს ინფორმაციას მოკლევადიანი პროგრამების შესახებ, სადაც მიდიან სტუდენტები და მიმღებ უნივერსიტეტს უხდიან შესაბამის საფასურს, თუ მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ მოკლევადიან პროგრამაში მონაწილე სტუდენტი, პროგრამაში მონაწილეობის საფასურს იხდის კავკასიის უნივერსიტეტში. ღირებულებაში შედის სწავლება, საცხოვრებელი, დაზღვევა და ვიზიტები პროგრამით გათვალისწინებულ ადგილებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4. პარტნიორი/არაპარტნიორი უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ მოკლევადიან პროგრამაში სტუდენტთა შესარჩევ მოთხოვნებსა და მონაწილეობის პირობებს ადგენს პარტნიორი/არაპარტნიორი უნივერსიტეტი. მოკლევადიან პროგრამებში მონაწილე სტუდენტმა უნდა დააკმაყოფილოს მიმღები უნივერსიტეტის მოთხოვნები.

5. პროგრამაში მონაწილეობის მსურველი სტუდენტები ავსებენ შესაბამის სააპლიკაციო ფორმას და მოთხოვნილ დოკუმენტებს წარადგენენ მიმღებ უნივერსიტეტში და ამის შესახებ ატყობინებენ საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების დეპარტამენტს.

6. მოკლევადიან პროგრამაში მონაწილე სტუდენტებს უფლება აქვთ პარტნიორ/არაპარტნიორ დაწესებულებაში გავლილი სასწავლო კურს(ებ)ი/კომპონენტ(ებ)ი ჩაეთვალოთ თავისუფალ კრედიტ(ებ)ად უნივერსიტეტში დადგენილი წესისა და პროცედურების შესაბამისად.

მუხლი 11. უცხო ქვეყნის არაპარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტის მიერ მიღებული კრედიტების აღიარება

1. სტუდენტს უფლება აქვს სასწავლებლად გაემგზავროს უცხო ქვეყნის არაპარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

2. სტუდენტის წერილობითი მომართვისა და შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, სტუდენტს კავკასიის უნივერსიტეტში უჩერდება სტუდენტის სტატუსი.

3. არაპარტნიორ უნივერსიტეტში დაგროვებული კრედიტების აღიარება ხდება წინამდებარე წესის შესაბამისად, იმ განსხვავებით, რომ არაპარტნიორ უნივერსიტეტში გამგზავრების წინ უნივერსიტეტებს შორის არ ფორმდება შესაბამისობის ფორმა, არამედ, სტუდენტის საქართველოში დაბრუნებისა და, მას შემდეგ, რაც იგი წარმოადგენს არაპარტნიორ უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი სასწავლო კურს(ებ)ის/კომპონენტ(ებ)ის სილაბუსებსა და ტრანსკრიპტს, დგება შესაბამისობის ფორმა, რომელსაც ხელს აწერენ სკოლის დეკანი, საერთაშორისო ურთიერთობის და პროექტების დეპარტამენტის დირექტორი და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი.

მუხლი 12. ერთიანი ეროვნული გამოცდების / საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე პირთა უნივერსიტეტში ჩარიცხვის და მობილობით ჩარიცხვის წესი

1. ერთიანი ეროვნული გამოცდების / საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე პირთა უნივერსიტეტში ჩარიცხვის წესი განისაზღვრება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის 224/ნ ბრძანებით (შემდგომში „ბრძანება“).

2. ბრძანებით განსაზღვრული პირების (უცხო ქვეყნის მოქალაქეები, მოქალაქეობის არმქონე პირები, საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც აკმაყოფილებენ ბრძანებით დადგენილ პირობებს) პროგრამის ენის ცოდნის დადგენის მიზნით, უნივერსიტეტი უტარებს გასაუბრებას (ე.წ. „სკაიპ ქოლი“) და აღნიშნული გასაუბრების ვიდეო ჩანაწერი სამინისტროსთვის ხდება ხელმისაწვდომი.

3. საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც არანაკლებ 75 დღისა (ერთ-ერთი სემესტრი) ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში,

უნივერსიტეტში სწავლის (საბაკალავრო საფეხურზე) გაგრძელების უფლებას მოიპოვებენ სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (შემდგომში „ცენტრი) მიერ ორგანიზებული ზოგადი უნარების გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პირების საქართველოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან უნივერსიტეტში გადმოსვლის წესი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა ნორმატიული აქტებით დადგენილი პირობების შესაბამისად.

5. უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების მსურველი პირი გადის ონლაინ რეგისტრაციას და დადგენილი წესის შესაბამისად, აგზავნის შემდეგ დოკუმენტებს:

- ნოტარიულად დამოწმებულ და ქართულ ენაზე ნათარგმნ პასპორტის ასლს;
- ნოტარიულად დამოწმებულ და ქართულ ენაზე ნათარგმნ სკოლის დამთავრების სერტიფიკატის /ბაკალავრის დიპლომის/მაგისტრატურის დიპლომის ასლს, - ნოტარიულად დამოწმებულ და ქართულ ენაზე ნათარგმნ ნიშნების ფურცელს;
- რეზიუმეს ინგლისურ ენაზე;
- ინგლისური ენის საერთაშორისო სერტიფიკატს (IELTS- 6.0; TOEFL-78) ან სხვა შესაბამისად აღიარებული B2 დონის სერტიფიკატს)
- მიღების წერილს გადმომსვლელი უნივერსიტეტიდან (საერთაშორისო ხარისხის მობილობის შემთხვევაში (ტრანსფერი));

6. მას შემდეგ რაც პირი წარმატებით გაივლის ვიდეო ინტერვიუს და გადაიხდის სააპლიკაციო მოსაკრებელს, უნივერსიტეტის რეესტრისა და საქმისწარმოების დეპარტამენტის დირექტორი ამზადებს წინასწარი ჩარიცხვის წერილს, რომელიც შემდეგ დოკუმენტებთან ერთად ეგზავნება ცენტრს:

- ნოტარიულად დამოწმებული და ქართულად ნათარგმნი პასპორტი;
- ნოტარიულად დამოწმებული და ქართულად ნათარგმნი ატესტატი/დიპლომი (ნიშნების ფურცელთან ერთად).
- შესაბამისობის ფორმა (საერთაშორისო ხარისხის (ტრანსფერის) მობილობის შემთხვევაში).

7. გარდა ზემოაღნიშნულისა, ხარისხის მაძიებელი სტუდენტი ავსებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სააპლიკაციო ფორმას და თან ურთავს ცენტრის მომსახურების გადახდის ქვითარს, რაც დანართის სახით წარედგინება ცენტრს.

8. პირის ჩარიცხვა ხდება უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით, განათლების, მეცნიერიების, კულტურისა და სპროტის მინისტრის ბრძანების საფუძველზე.

9. საბოლოო პასუხი ჩარიცხვასთან დაკავშირებით აპლიკანტებს ეცნობებათ ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

10. სტუდენტი ვალდებულია უნივერსიტეტში ჩარიცხვიდან აქტიური სტუდენტური სტატუსის ფლობის სრული პერიოდის მანძილზე უზრუნველყოს ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის სადაზღვევო პოლისის ფლობა, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს მთავრობის 2020 წლის 11 სექტემბრის N572 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უნივერსიტეტი სტუდენტს არ დაუშვებს სასწავლო პროცესში (გარდა დისტანციური სწავლებისა, თუ სტუდენტი არ იმყოფება საქართველოში). უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას, სტუდენტს, რომელიც დადგენილი წესის შესაბამისად არ ფლობს ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის დაზღვევის პოლისს, შეუჩეროს სტუდენტის სტატუსი.

11. ხარისხის მაძიებელ სტუდენტენტთა სია ფორმდება საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორის მოხსენებითი ბარათით, რომელიც წარედგინება უნივერსიტეტის პრეზიდენტს სტუდენტების განცხადებებთან ერთად.

12. კავკასიის უნივერსიტეტს უფლება აქვს სტუდენტ(ებ)ს მოსთხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია, მ.შ. სადაზღვევო პოლისი, ამ მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად.

13. ხარისხის მაძიებელი სტუდენტები ყოველი სემესტრის ბოლოს ავსებენ ზოგადსაუნივერსიტეტო კმაყოფილების კითხვარს, რომელსაც აანალიზებს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი.

გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის თანხმობა

სტუდენტი	
სკოლა	
სპეციალობა	
კურსი	
პარტნიორი უნივერსიტეტი	
კურსი, სემესტრი	

მოცემულ თანხმობის ფორმაზე ხელმოწერით ვადასტურებ, რომ სრულად ვარ ინფორმირებული გაცვლითი პროგრამის შესახებ კავკასიის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მიერ. გავეცანი დანართის სახით მოცემულ პროგრამული შესაბამისობის ფორმას და ვიღებ პასუხისმგებლობას ავანაზღაურო შემდეგი ხარჯები:

სწავლის გადასახადი კავკასიის უნივერსიტეტში	x დიახ	□ არა
სწავლის გადასახადი მასპინძელ უნივერსიტეტში	□ დიახ	**x არა**
საცხოვრებლის საფასური პროგრამის პერიოდში	x დიახ	□ არა
სამოგზაურო ჯანმრთელობის დაზღვევა	x დიახ	□ არა
საერთაშორისო მგზავრობა	x დიახ	□ არა
წიგნები	x დიახ	□ არა
ყოველდღიური ხარჯები (კვება, ტრანსპორტი, და ა.შ)	x დიახ	□ არა
სავიზო გადასახადები	x დიახ	□ არა
პროგრამასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები	x დიახ	□ არა

ინფორმირებული ვარ მასზედ, რომ თუ რაიმე მიზეზით გაცვლითი პროგრამის დაწყებამდე უარს განვაცხადებ პროგრამაში მონაწილეობაზე, ჩემს მიერ უკვე გადახდილი თანხები არ ამინაზღაურდება (თუ სპეციალური შეთანხმება არ არსებობს ჩემსა და მასპინძელ უნივერსიტეტს შორის) და ასევე უნდა ავანაზღაურო ყველა ხარჯი რაც გასწია კავკასიის უნივერსიტეტმა ან მასპინძელმა უნივერსიტეტმა ჩემთვის პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად.

ინფორმირებული ვარ მასზედ, რომ კავკასიის უნივერსიტეტის მიერ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობისთვის დადგენილი პირობების თანახმად, ვალდებული ვარ მობილობის დასრულების შემდეგ დავბრუნდე კავკასიის უნივერსიტეტში და სწავლა გავაგრძელო შესაბამისი სემესტრიდან.

ვიღებ ვალდებულებას დავიცვა მასპინძელი ქვეყნის კანონები და მასპინძელი უნივერსიტეტის წესები და რეგულაციები. მათი დარღვევის შემთხვევაში მთელი პასუხისმგებლობა დამეკისრება პირადად მე.

გაფრთხილებული ვარ მასზედ, რომ თუ წასვლის პერიოდისათვის ჩემი აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი დაბალი იქნება კავკასიის უნივერსიტეტის შესაბამისი სკოლის მინიმალურ აკადემიურ მოთხოვნებზე და რეგულაციებზე, აგრეთვე მექნება დიციპლინარული სასჯელი, გაცვლით პროგრამაში მონაწილეობას ვერ მივიღებ, და თუ რაიმე მიზეზით მაინც გადავწყვეტ გამგზავრებას, მასპინძელ უნივერსიტეტში სწავლის შედეგები არ ჩამეთვლება კავკასიის უნივერსიტეტში.

ინფორმირებული ვარ, რომ წინამდებარე დოკუმენტში თანდართული ცხრილი, გაცვლითი პროგრამის ფარგლებში გასავლელი სალექციო კურსის შესახებ, მიახლოებითი ხასიათისაა. საბოლოო ცხრილს განსაზღვრავს მასპინძელი უნივერსიტეტი. კავკასიის უნივერსიტეტი პასუხს არ აგებს საბოლოო ცხრილზე.

ინფორმირებული ვარ მასზედ, რომ პარტნიორ უნივერსიტეტში აღებული შესაბამისი საგნების რაოდენობიდან გამომდინარე, საბაკალავრო პროგრამა შესაძლოა სწავლების სტანდარტულ ვადაში (XX წელიწადში) ვერ დავასრულო, შესაბამისად, ეს გამოიწვევს პროგრამის სრულად დასრულებამდე სასწავლო სემესტრ(ებ)ის დამატებას.

პროგრამული შესაბამისობის ფორმა

გაცვლითი პროგრამის სტუდენტი:

კავკასიის უნივერსიტეტის სკოლა:

პარტნიორი უნივერსიტეტი:

გაცვლითი პროგრამის დეტალები:

სემესტრი					
კავკასიის უნივერსიტეტის კურსის კოდი	**კავკასიის უნივერსიტეტის კურსის დასახელება**	**საგნის მოცულობა კრედიტებში**	**კურსის კოდი პარტნიორ უნივერსიტეტში**	**კურსის დასახელება პარტნიორ უნივერსიტეტში**	**საგნის მოცულობა კრედიტებში**

<u>კურსების შესაბამისობა დამტკიცებულია და ხელს აწერს:</u>

	სახელი	ხელმოწერა	თარიღი
საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორი			
დეკანი			
ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი			
გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტი			

Erasmus+ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის თანხმობა

სტუდენტი	
სკოლა	
სპეციალობა	
კურსი	
პარტნიორი უნივერსიტეტი	
კურსი, სემესტრი	

წინამდებარე თანხმობის ფორმაზე ხელმოწერით ვადასტურებ, რომ სრულად ვარ ინფორმირებული გაცვლითი პროგრამის შესახებ კავკასიის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მიერ. გავეცანი პროგრამული შესაბამისობის ფორმას და ვიღებ პასუხისმგებლობას ავანაზღაურო სწავლის გადასახადი კავკასიის უნივერსიტეტში შერჩეული საგნების კრედიტების რაოდენობის მიხედვით გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიღებამდე კავკასიის უნივერსიტეტთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე.

ინფორმირებული ვარ მასზედ, რომ თუ რაიმე მიზეზით გაცვლითი პროგრამის დაწყებამდე უარს განვაცხადებ პროგრამაში მონაწილეობაზე, ჩემს მიერ უკვე გადახდილი თანხები არ დამიბრუნდება უკან (თუ სპეციალური შეთანხმება არ არსებობს ჩემსა და მასპინძელ უნივერსიტეტს შორის) და ასევე უნდა ავანაზღაურო ყველა ხარჯი რაც გასწია კავკასიის უნივერსიტეტმა ან მასპინძელმა უნივერსიტეტმა ჩემთვის პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად.

ინფორმირებული ვარ მასზედ, რომ კავკასიის უნივერსიტეტის მიერ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობისთვის დადგენილი პირობების თანახმად, ვალდებული ვარ მობილობის დასრულების შემდეგ დავბრუნდე კავკასიის უნივერსიტეტში და სწავლა გავაგრძელო შესაბამისი სემესტრიდან.

ვიღებ ვალდებულებას დავიცვა მასპინძელი ქვეყნის, მასპინძელ უნივერსიტეტში მოქმედი და პროგრამისთვის დადგენილი წესები და რეგულაციები. მათი დარღვევის შემთხვევაში, პასუხისმგებლობა დამეკისრება პირადად მე.

გაფრთხილებული ვარ მასზედ, რომ თუ წასვლის პერიოდისათვის ჩემი აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი დაბალი იქნება კავკასიის უნივერსიტეტის შესაბამისი სკოლის მინიმალურ აკადემიურ მოთხოვნებზე და რეგულაციებზე, აგრეთვე მექნება დიციპლინარული სასჯელი, გაცვლით პროგრამაში მონაწილეობას ვერ მივიღებ, და თუ რაიმე მიზეზით მაინც გადავწყვეტ გამგზავრებას, მასპინძელ უნივერსიტეტში სწავლის შედეგები არ ჩამეთვლება კავკასიის უნივერსიტეტში.

ინფორმირებული ვარ, რომ წინამდებარე დოკუმენტში თანდართული ცხრილი, გაცვლითი პროგრამის ფარგლებში გასავლელი სალექციო კურსის შესახებ, მიახლოებითი ხასიათისაა. საბოლოო ცხრილს განსაზღვრავს მასპინძელი უნივერსიტეტი. კავკასიის უნივერსიტეტი პასუხს არ აგებს საბოლოო ცხრილზე.

ინფორმირებული ვარ მასზედ, რომ პარტნიორ უნივერსიტეტში აღებული შესაბამისი საგნების რაოდენობიდან გამომდინარე, საბაკალავრო პროგრამა შესაძლოა სწავლების სტანდარტულ ვადაში (XX წელიწადში) ვერ დავასრულო, შესაბამისად, ეს გამოიწვევს პროგრამის სრულად დასრულებამდე სასწავლო სემესტრ(ებ)ის დამატებას.

პროგრამული შესაბამისობის ფორმა

გაცვლითი პროგრამის სტუდენტი:
კავკასიის უნივერსიტეტის სკოლა:
პარტნიორი უნივერსიტეტი:
გაცვლითი პროგრამის დეტალები:

სემესტრი					
კავკასიის უნივერსიტეტის კურსის კოდი	კავკასიის უნივერსიტეტის კურსის დასახელება	საგნის მოცულობა კრედიტებში	კურსის კოდი პარტნიორ უნივერსიტეტში	კურსის დასახელება პარტნიორ უნივერსიტეტში	საგნის მოცულობა კრედიტებში

<u>კურსების შესაბამისობა დამტკიცებულია და ხელს აწერს:</u>

	სახელი	ხელმოწერა	თარიღი
საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორი			
დეკანი			
ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირეტქორი			
გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტი			

დანართი N3

კავკასიის უნივერსიტეტის საერთაშორისო
ურთიერთობების დეპარტამენტის
დირექტორს, ----------

კავკასიის უნივერსიტეტის შიდა ნორმატიული დოკუმენტის „ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისა და უცხოელი სტუდენტების ჩარიცხვის წესი“-ს მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აღვნიშნავ, რომ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მსურველი ----- სკოლის სტუდენტი ------ (პ/ნ) მართალია არის დამამთავრებელი ეტაპის ბაკალავრის/მაგისტრატურის/დოქტორანტურის სტუდენტი, თუმცა ვადასტურებ, რომ სტუდენტი ვერ შეძლებს ერთ სემესტრში საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამის დასრულებას შემდეგ მიზეზთა გამო:

გთხოვთ, მხედველობაში მიიღოთ ზემოაღნიშნული ინფორმაცია.

პატივისცემით,

კავკასიის ------ სკოლის
დეკანი: -----

დანართი N4

გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტთა შერჩევის კომისიის სხდომის ოქმი N

თბილისი 00.00.0000

კომისიის წევრები:

კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი
კავკასიის უნივერსტიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორი
დეკანი

კომისია ახდენს ------- წლის ---------- სემესტრში, გაცვლითი პროგრამის ფარგლებში წამსვლელი/ჩამომსვლელი სტუდენტების შერჩევას.

დაინტერესებულ პირთა მიერ სააპლიკაციო დოკუმენტების წარმოდგენის ვადა ამოიწურა ------. სულ შემოსულია --- განაცხადი:

სტუდენტის სახელი, გვარი	სკოლა, პროგრამა	სწავლის ეტაპი	არ შეუძლია გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიღება/აკმაყოფილებს გაცვლით პროგრამაში მონაწილეობისთვის განსაზღვრულ პირობებს	წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეესაბამება მოთხოვნილ პირობებს

კომისიის წევრებმა თითოეული კანდიდატი შეაფასეს და ახდენენ კანდიდატების ნომინირებას იმის შემდეგი პირობების გათვალისწინებით, რომ სტუდენტს:

- აქვს მაღალი აკადემიური მოსწრება (GPA);
- წარმოდგენილი აქვს ინგლისური ენის საერთაშორისო სერტიფიკატი (IELTS/TOEFL ან სხვა შესაბამისად აღიარებული B2 დონის სერტიფიკატი).
- წარმოდგენილი აქვს სოციალურად მოწყვლადობის და/ან ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული პრობლემ(ებ)ის დამადასტურებელი ცნობა (არსებობის შემთხვევაში);

კონკურსში, თანაბარ პირობებში მყოფ სტუდენტებს შორის, უპირატესობა ენიჭება მას, ვისაც ნიშნების ფურცელში არ უფიქსირდება შეფასება “F”.
კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა და განისაზღვრა ნომინირებულ სტუდენტთა სია:

დანართი N5

გაცვლით პროგრამაში მონაწილე აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევის კომისიის სხდომის ოქმი N

თბილისი 00.00.0000

კომისიის წევრები:

კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი
კავკასიის საერთაშორისო და პროექტების დეპარტამენტის დირექტორი
დეკანი
პერსონალის მართვის დეპარტამენტის დირექტორი

კომისია ახდენს ------ წლის -------- სემესტრში, გაცვლითი პროგრამის ფარგლებში წამსვლელი/ჩამომსვლელი პერსონალის შერჩევას.

დაინტერესებულ პირთა მიერ სააპლიკაციო დოკუმენტების წარმოდგენის ვადა ამოიწურა ------. სულ შემოსულია --- განაცხადი:

სახელი, გვარი	სკოლა, პროგრამა	აკადემიური სტატუსი/ ადმინისტრაციული თანამდებობა	არ შეუძლია გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიღება/აკმაყოფილებს გაცვლით პროგრამაში მონაწილეობისთვის განსაზღვრულ პირობებს	წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეესაბამება მოთხოვნილ პირობებს

კომისიის წევრებმა თითოეული კანდიდატი შეაფასეს და ახდენენ კანდიდატების ნომინირებას იმის შემდეგი პირობების გათვალისწინებით, რომ პერსონალს:

- წარმოდგენილი აქვს ინგლისურ ენაზე ლექციების წაკითხვის, საქმიანობის განხორციელების გამოცდილების დამადასტურებელი ცნობა;
- წარმოდგენილი აქვს სოციალურად მოწყვლადობის და/ან ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული პრობლემ(ებ)ის დამადასტურებელი ცნობა (არსებობის შემთხვევაში);
- კანდიდატს არ უსარგებლია მსგავსი სახის პროგრამით.

კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა და განისაზღვრა ნომინირებულ პირთა სია:

ERASMUS+ KA 107
ანგარიშის ფორმა
აკადემიური/ადმინისტრაციული
პერსონალისთვის

სახელი/გვარი:
საკონტაქტო მეილი:
მასპინძელი უნივერსიტეტი:
მასპინძელი ფაკულტეტი/დეპარტამენტი:
მასპინძელი პროფესორი/ ადმინისტრაციული პერსონალი:

გთხოვთ, მოკლედ აღწეროთ ის აქტივობები, რაც მობილობის პერიოდში თქვენთვის დაიგეგმა პარტნიორ უნივერსიტეტში (მიუთითეთ აქტივობებისთვის განსაზღვრული რიცხვი, დრო, ადგილმდებარეობა და განხორციელებული ლექციის/შეხვედრის ზოგადი შინაარსი):

მობილობის მსვლელობისას გამოიკვეთა თუ არა სამომავლო თანამშრომლობის სურვილი, და თუ კი, რა მიმართულებით? გთხოვთ მიუთითოთ კონკრეტული იდეები/წინადადებები (მაგალითად: შესაძლო სამომავლო თანამშრომლობა პროექტის ფარგლებში; საერთო პროგრამების შემუშავება; მონაწილეობა ტრენინგსა თუ სემინარში ა.შ), რათა სამომავლოთ შევძლოთ პარტნიორ უნივერსიტეტთან კონკრეტული მიმართულებით კომუნიკაცია:

დანართი N7

საერთაშორისო ხარისხის მობილობა

პროგრამული შესაბამისობის ფორმა
ხარისხის მაძიებელი სტუდენტი:
კავკასიის უნივერსიტეტის სკოლა:
უნივერსიტეტის დასახელება (საიდანაც ხორციელდება მობილობა)

სემესტრი					
კავკასიის უნივერსიტეტის კურსის კოდი	კავკასიის უნივერსიტეტის კურსის დასახელება	საგნის მოცულობა კრედიტებში	კურსის კოდი უნივერსიტეტში (საიდანაც ხორციელდება მობილობა)	კურსის დასახელება უნივერსიტეტში (საიდანაც ხორციელდება მობილობა)	საგნის მოცულობა კრედიტებში

<u>კურსების შესაბამისობა დამტკიცებულია და ხელს აწერს:</u>

	სახელი	ხელმოწერა	თარიღი
საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორი			
დეკანი			
ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი			
საერთაშორისო ხარისხის მაძიებელი სტუდენტი			